

შპს „შუხმან რიალ ისთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია4

2. მომზადების საფუძველი4

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა5

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები8

5. ამონაგები რეალიზაციიდან8

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....9

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....9

8. ფინანსური ხარჯი9

9. ძირითადი საშუალებები.....10

10. საინვესტიციო ქონება11

11. სასაქონლო მატერიალური მარაგები11

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები11

13. გაცემული სესხები12

14. ფული და ფულის ექვივალენტები12

15. მიღებული სესხები.....12

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....13

17. საგადასახადო ვალდებულებები13

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024 (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	1,467,300	2,149,478
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(1,113,982)	(1,485,722)
საერთო მოგება		353,318	663,756
კომერციული ხარჯები		(52,249)	(17,174)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(543,266)	(639,697)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(242,197)	6,885
ფინანსური შემოსავალი		11,186	11,158
ფინანსური ხარჯი	8	(293,345)	(223,090)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(30,227)	6,980
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(554,583)	(198,067)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(554,583)	(198,067)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს "შუხმან რიალ ისთეით"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024 (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	1,467,300	2,149,478
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(1,113,982)	(1,485,722)
საერთო მოგება		353,318	663,756
კომერციული ხარჯები		(52,249)	(17,174)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(543,266)	(639,697)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(242,197)	6,885
ფინანსური შემოსავალი		11,186	11,158
ფინანსური ხარჯი	8	(293,345)	(223,090)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(30,227)	6,980
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(554,583)	(198,067)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(554,583)	(198,067)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	9	2,337,213	2,418,503
საინვესტიციო ქონება	10	818,703	857,517
არამატერიალური აქტივები		557	1,213
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,156,473	3,277,233
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	13,620	11,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	109,786	35,459
გაცემული სესხები	13	1,292,583	410,269
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	18,261	564,713
სულ მიმდინარე აქტივები		1,434,250	1,021,537
სულ აქტივები		4,590,723	4,298,770
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		694,095	1,248,678
სულ კაპიტალი		694,095	1,248,678
გრძელვადიანი სესხები			
	15	-	466,631
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	466,631
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	535,277	707,157
მიღებული სესხები	15	3,350,864	1,865,949
საგადასახადო ვალდებულებები	17	10,487	10,355
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,896,628	2,583,461
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,590,723	4,298,770

4-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	-	1,446,745	1,446,745
წლის სრული ზარალი	-	(198,067)	(198,067)
31 დეკემბერი 2023	-	1,248,678	1,248,678
წლის სრული ზარალი	-	(554,583)	(554,583)
31 დეკემბერი 2024	-	694,095	694,095

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს შუხმან რიალ ისთეითი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2017 წლის 10 თებერვალს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405189692.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვილების ტიპის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, ვილების რეალიზაციის და უკუიჯარით წამოღების მიზნით, რის შედეგადაც კომპანია განაგრძობს კომპლექსის სასტუმროდ ფუნქციონირებას.

კომპანია მომხმარებელს ასევე სთავაზობს შემდეგი სახის დამატებით მომსახურებებს: სპა, სამუშაო შეხვედრების და კონფერენციებისთვის მოწყობილი ოთახები, სხვადასხვა გასართობ აქტივობები და სადღესასწაულო ღონისძიებები.

კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულია 13 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, არაყიშვილის ქ., № 16/4, ბ. #5. კომპანია საქმიანობას ახორციელებს თელავის რაიონში, სოფელი კისისხევი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

- ნინო აბრამიშვილი - 40%
- შპს ენ ეი გრუპი - 60%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10
ოფისის ინვენტარი და ავეჯი	2-5
სატრანსპორტო საშუალებები	3-6
საინვესტიციო ქონება	5-20
სხვა ძირითადი საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბუღალტრული პროგრამა	10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შესარულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2024	2023
ამონაგები სასტუმრო მომსახურებიდან	1,298,720	1,194,915
ამონაგები სარესტორნე მომსახურებიდან	22,501	19,815
ამონაგები სპის მომსახურებიდან	3,354	8,563
ამონაგები ვილების რეალიზაციიდან	-	835,264
სხვა	142,725	90,921
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	1,467,300	2,149,478

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
თვითღირებულება სასტუმრო	(924,748)	(901,235)
თვითღირებულება რესტორანი	(90,746)	(87,529)
ცვეთის ხარჯი	(38,814)	(55,401)
თვითღირებულება სპა	(3,148)	(8,123)
რეალიზებული ვილების თვითღირებულება	-	(395,083)
თვითღირებულება სხვა	(56,526)	(38,351)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,113,982)	(1,485,722)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(298,987)	(357,256)
ცვეთა და ამორტიზაცია	(110,689)	(93,267)
პროფესიული მომსახურება	(61,350)	(94,368)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(20,235)	(19,788)
საგადასახადო ხარჯი	(18,026)	(19,264)
სხვა ხარჯი	(33,979)	(55,754)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(543,266)	(639,697)

8. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	(169,787)	(179,538)
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	(78,839)	(28,393)
იურდიული პირებისგან აღებული სესხები	(44,719)	(15,159)
სულ ფინანსური ხარჯი	(293,345)	(223,090)

შპს “ზუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის ინვენტარი და ავაჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	1,788,999	348,417	72,470	46,763	12,580	196,253	2,465,482
შემოსვლა	-	41,165	15,180	115,411	90,817	21,380	283,953
გასვლა	(7,521)	-	-	-	-	-	(7,521)
31 დეკემბერი 2023	1,781,478	389,582	87,650	162,174	103,397	217,633	2,741,914
შემოსვლა	-	-	3,390	22,249	-	3,106	28,745
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	1,781,478	389,582	91,040	184,423	103,397	220,739	2,770,659
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	(96,953)	-	(12,857)	(1,482)	(119,580)	(230,872)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(34,274)	-	(17,639)	(5,944)	(34,682)	(92,539)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(131,227)	-	(30,496)	(7,426)	(154,262)	(323,411)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(37,346)	-	(37,303)	(10,340)	(25,046)	(110,035)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	(168,573)	-	(67,799)	(17,766)	(179,308)	(433,446)
ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	1,781,478	258,355	87,650	131,678	95,971	63,371	2,418,503
31 დეკემბერი 2024	1,781,478	221,009	91,040	116,624	85,631	41,431	2,337,213

შპს “უზხმან რიალ ისთეიტ”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ საინვესტიციო ქონება
31 დეკემბერი 2022	1,057,793	295,182	1,352,975
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	(378,470)	-	(378,470)
31 დეკემბერი 2023	679,323	295,182	974,505
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2024	679,323	295,182	974,505
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2022	(83,069)	-	(83,069)
წლის დარიცხული ცვეთა	(55,401)	-	(55,401)
გასვლები	21,482	-	21,482
31 დეკემბერი 2023	(116,988)	-	(116,988)
წლის დარიცხული ცვეთა	(38,814)	-	(38,814)
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(155,802)	-	(155,802)
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	562,335	295,182	857,517
31 დეკემბერი 2024	523,521	295,182	818,703

11. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სამშენებლო მარაგები	824	648
სხვა მარაგები	12,796	10,448
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	13,620	11,096

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული ავანსები	58,227	8,900
სავაჭრო მოთხოვნები	51,559	26,559
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	109,786	35,459

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. გაცემული სესხები

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებულ იურდიულ პირებზე გაცემული სესხი	11%	მოთხოვნამდე	1,280,493	399,080
დაკავშირებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხი	5%	მოთხოვნამდე	12,090	11,189
სულ გაცემული სესხები			1,292,583	410,269

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,588	30,700
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,874	534,013
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,799	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	18,261	564,713

15. მიღებული სესხები

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	13%	გრძელვადიანი (2025)	-	466,631
სულ გრძელვადიანი სესხი			-	466,631

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	13%	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,577,314	904,993
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	25%	მოთხოვნამდე	754,376	-
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	5%	მოთხოვნამდე	771,632	753,712
დაკავშირებული იურდიული პირებიდან აღებული სესხი	11%	მოთხოვნამდე	247,542	207,244
სულ მოკლევადიანი სესხი			3,350,864	1,865,949

შპს “შუხმან რიალ ისთეით”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	258,895	291,269
დაკავშირებულ მხარეებთან		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	170,421	160,577
სახელფასო ვალდებულება	93,721	221,659
მიღებული ავანსები	10,365	31,527
სხვა ვალდებულებები	1,875	2,125
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	535,277	707,157

17. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.